საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობა თბილისის 122-ე საჯარო სკოლაში

მარიამ ქებურია, რომან დარჯანია, ჯუმბერ ფეიქრიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტის ზოგადი განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი - მაკა კორძაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

მადლობა

მადლობას ვუხდით ყველა იმ ადამიანს, რომლებსაც აღნიშნული ნაშრომის მომზადებაში მცირედი წვლილი მაინც მიუძღვით. პირველ ყოვლისა, გამოვყოფთ თბილისის 122-ე საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ მედეა ქოქრაშვილსა და მის მოადგილეს, ქალბატონ თეა კვიტატიანს, რომლებიც ნაშრომზე მუშაობის დაწყების დღიდან _ ბოლომდე თითოეულ პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული და მუდმივ მხარდაჭერასა თუ სრულ ნდობას გვიცხადებდნენ. ასევე, ამავე სკოლის პედაგოგიურ საბჭოსა და თანამშრომლებს, რომლებიც ჩვენ მიერ დაგეგმილ ინტერვენციათა განხორციელებაში, დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობდნენ.

მადლობას ვუხდით, ჩვენი ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ქალბატონ მაკა კორძაძეს, რომელიც მუდმივად ერთვებოდა კვლევის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე და გვაწვდიდა შესაბამის რეკომენდაციებს. ასევე, ჩვენს სხვა ლექტორებსა თუ სემინარისტებს, რომლებიც მთელი სემესტრის განმავლობაში, ნაშრომის მეტად სრულყოფის მიზნით, გვაძლევდნენ რჩევებს.

დაბოლოს, გვინდა, მადლობა გადავუხადოთ ჩვენი ოჯახის წევრებს. აგრეთვე, კვლევის პროცესში ჩართულ მნიშვნელოვან პირებს: ტრენერებს, მშობლებსა და მოსწავლეებს, რადგან ნაშრომის ღირებულება, დიდწილად, სწორედ მათი ჩართულობით განისაზღვრება.

განაცხადი

,,როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად გამზადებულ ან დასაცავად წარსადგენ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მარიამ ქებურია

რომან დარჯანია

ჯუმბერ ფეიქრიშვილი

25.06.2024

აბსტრაქტი

აღნიშნული ნაშრომი გახლავთ პრაქტიკის კვლევის ანგარიში, რომელიც განხორციელდა სსიპ ქალაქ თბილისის 122-ე საჯარო სკოლაში. საკვლევ თემას წარმოადგენს: „საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობა“. ნაშრომში წარმოდგენილია პრობლემის იდენტიფიცირების, დიაგნოსტირების, ინტერვენციათა ჩატარებისა და მათი შეფასების ეტაპები, რომლებიც ერთიანად მიემართება სკოლაში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის გაუმჯობესებასა და მისი მდგრადობის შენარჩუნებას. შემუშავდა ისეთი ინტერვენციები, რომელსაც ექნებოდა მდგრადი შედეგი და არა მხოლოდ მიმდინარე წლის საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის გააუმჯობესებდა გადაწყვეტილების მიღებას, არამედ, მომდევნო თაობებისთვისაც წარმატებით განხორციელდებოდა. აქედან გამომდინარე, პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის მიზნით, კვლევის ორიენტირი გადატანილი იქნა სრულად სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაუმჯობესებაზე. პრობლემის პირველადი იდენტიფიცირებისთვის, ინტერვიუები ჩატარდა სკოლის დირექტორსა და მის მოადგილესთან, აღნიშნული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა პრობლემა, რომელიც დიაგნოსტიკური კვლევის შემდგომ ეტაპზე, სხვა თვისებრივი მეთოდებით დადასტურდა.

დიაგნოსტიკური კვლევის საფუძველზე, განისაზღვრა როგორც მოსწავლეთა (მე-9, მე-10, მე-11 კლასები), ასევე პედაგოგთა კონკრეტული სამიზნე ჯგუფები. გამოვლინდა ძირითადი პრობლემატური საკითხები, გასაუმჯობესებელი ასპექტები თუ ის უპირატესობები, რომლებიც სკოლას საკვლევი საკითხისადმი გააჩნდა.

კვლევის ამ ეტაპის შემდეგ შეირჩა ის თეორიული ჩარჩო, რომლის საფუძველზეც, შესაძლებელი იქნებოდა პრობლემის მოგვარება. სწორედ ასეთი გახლავთ პიტერ სენჯის თეორია _ ,,ხუთი დისციპლინა: სასწავლო ორგანიზაციის ხელოვნებასა და პრაქტიკაზე“, ის გვთავაზობს წარმატებული სასწავლო ორგანიზაციის ფუნქციონირების 5 ძირითად პრინციპს, რომელთა გათვალისწინება ჩვენი საკვლევი ორგანიზაციის პრობლემების გადაჭრას შეუწყობს ხელს.

თეორიული ჩარჩოს გათვალისწინებით შემუშავდა ინტერვენციები, რომლებიც სკოლაში პროფესიული ორიენტაციის პროცესს გააუმჯობესებს, გახდის მას სისტემურს და ციკლურს, ამდენად - მდგრადს. ეს ინტერვენციებია: პროფესიული ორიენტირებისა და კარიერული დაგეგმვის საკითხებზე მომუშავე ჯგუფის ჩამოყალიბება, პროფ. ორიენტირების მიმართულებით ჩატარებული კონკურსი, მასწავლებელთა ტრენინგი _ პროფესიული ორიენტაციის ხელშემწყობი აქტივობების შერჩევისა და კურიკულუმში ასახვისათვის, შიდა/გარე საკომუნიკაციო გზების ჩამოყალიბება თუ გამყარება, პროფესიული ორიენტირების ფეისბუქ გვერდის შექმნა, შეხვედრები და გამოცდილების გაზიარება მოსწავლეებთან, კათედრათა შეხვედრის მეშვეობით მოზარდთა ძირითადი ინტერესების დადგენის შემდეგ - პროფესიული ორიენტაციისთვის შესაბამისი აქტივობების კურიკულუმსა და სკოლის სასწავლო გეგმაში გაწერა, თვითშემცნობი აქტივობებისა და პროფ. ორიენტირების საერთო ბაზის შექმნა. ინტერვენციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის შესაბამის თავში.

განხორციელებული ცვლილებების შედეგების შეფასებამ გვიჩვენა, რომ გაიზარდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობა პროფესიული ორიენტაციის პროცესში, ამაღლდა მათი ცნობიერება, გაიხსნა შესაბამისი დამხმარე საკომუნიკაციო არხები, მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა მიიღეს პირველადი ინფორმაცია კარიერულ დაგეგმვასთან დაკავშირებით. მდგრადობისა და ციკლურობის უზრუნველსაყოფად, სასკოლო გეგმაში ჩაშენდა პროფ. ორიენტირების საკითხები, შეიქმნა მოსწავლეთა თვითშემცნობი თუ პროფესიული ორიენტირების აქტივობათა ბაზები. მოზარდთა წამახალისებელმა კონკურსმაც, რომელიც მათთვის საინტერესო პროფესიის წარმომადგენლებთან ინტერვიუსა და მასზე _ წინასწარ მიწოდებული კრიტერიუმებით შედგენილი ნაშრომის შექმნას მოიცავდა, შედეგი გამოიღო, რადგან შემდეგში მსგავს კონკურსში მონაწილეობის სურვილი კიდევ უფრო მეტმა მოსწავლემ გამოთქვა.

ცვლილებები, რომლებიც მიმდინარე სასწავლო წლისთვის იყო განკუთვნილი, წარმატებით განხორციელდა, რაც ინტერვენციების შედეგების შეფასებით დადასტურდა. გრძელვადიანი ცვლილებების შეფასება მომავალ სასწავლო წლებში იქნება შესაძლებელი. ცალსახაა, რომ შექმნილმა დოკუმენტებმა, განახლებადმა

აქტივობებმა თუ სხვა ღონისძიებებმა, მიღწეული შედეგების გრძელვადიანი მდგრადობა და ეფექტიანობა უნდა უზრუნველყოს.

საძიებო სიტყვები: პრაქტიკის კვლევა, პროფესიული ორიენტაცია, კარიერის დაგეგმვა, პროფესიის არჩევა, პროფესიები, უნარები, ინტერესები, კურიკულუმი, სამუშაო ჯგუფი, ინტერვენცია, შეხვედრა, კონკურსი, მასწავლებელი, მოსწავლე.

Abstract

The thesis contains stages of problem identification, diagnostics, interventions, and their evaluation that equally benefit professional orientation and career planning, its sustainability, and maintenance at school. There was a process planned that would have sustainable results and not only for improved decision-making of the current year's elementary-middle level pupils but also would be carried out for future generations as well. Therefore, to support professional orientation, the research aim was shifted to improving the engagement of the school community.

For initial identification of the problem, interviews were carried out with the school principal and his deputy. Based on the stated interview research a problem was expressed that was confirmed with other characterized diagnostic research in the later research stage.

Based on the diagnostic research, specific target pupil groups (Grade 9, 10, 11) and also teacher groups were determined.

After problem diagnostics, each frame was chosen based on which problem-solving would be possible. Such is the theory of Peter Senge – "Five Disciplines: About Art and Practice of an Educational Institution." It offers us 5 major principles of functioning considering which would benefit our research organization matters.

Considering the theoretical frame some interventions were initiated that will support the professional orientation process at school, making it cyclic and sustainable. These interventions are forming groups working on matters for planning professional orientation

and career planning, competition regarding professional orientation, teachers' training for selecting activities in the direction of professional orientation and integration to curriculum, forming internal/external communication ways or strengthening, creation of FB page for professional orientation and career planning, meetings and experience-sharing with pupils, meeting of academic departments, implementing activities of professional orientation and career planning to curriculum and school study plan, self-awareness activities, and creation of common base. Detailed information regarding the intervention is given in the substituent chapter of the master thesis.

Evaluation of the carried-out interventions showed that school community engagement increased in the professional orientation process, awareness was raised, proper communication channels were opened, and teachers and pupils received initial information regarding professional orientation and career planning. For the provision of of sustainability and cyclic process, professional orientation matters were implemented in the school plan, self-awareness professional orientation activity basis was created. Competition for pupil encouragement that included interviews with representatives of interesting professions and preparation of a piece of work according to advanced determined criteria brought results since more pupils expressed a wish to participate in such competition.

Changes aimed for the current academic year were successfully carried out which is confirmed with the evaluation of intervention results. Documents and renewable activities provided by us should provide long-term sustainability and effectivity of the results. Evaluation of these interventions would be possible in upcoming years as well.

Keywords: practice research, professional orientation, career planning, choosing profession, professions, skills, interests, curriculum, work group, intervention, meeting, competition, teacher, student.